სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება # 542
(ოქმი #481

თბილისი

2022 წლის 29 დეკემბერი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ ფეხბურთში საერთაშორისო ტურნირების მატჩების საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსლაციის ექსკლუზიური უფლების შესყიდვის მიზნით ევროპის მაუწყებელთა კავშირთან (EBU) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 30(1) მუხლის “ე)” ქვეპუნქტის თანახმად და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” გენერალური დირექტორის 19.12.2022წ. #2491 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

თანხმობა მიეცეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურ დირექტორს, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრების მიერ 2022-2028 წლების განმავლობაში UEFA-სა და FIFA-ს ეგიდით გასამართი საერთაშორისო ოფიციალური და ამხანაგური მატჩების საქართველოს ტერიტორიაზე სატელევიზიო ტრანსლაციის ექსკლუზიური უფლების შესყიდვის მიზნით გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება ევროპის მაუწყებელთა კავშირთან (EBU).

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ვასილ მაღლაფერიძე

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

მიხეილ ჩიკვილაძე

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

ლაშა ტუღუში

იზაბელა ოსიპოვა

ზაზა აბაშიძე

გრიგოლ მურღულია

ლიკა ბასილაია-შავგულიძე

ბონდო მძინარაშვილი